ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 1322339001**
თარიღი:**05/12/2022**

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ახალციხის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დასაფინანსებელი პროექტების დაფინანსების მიზნით მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების მე-2 მუხლის მე-4 პუქნტის შესაბამისად,

1. მოწონებულ იქნას ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ფარგლებში, 2023 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებები დანართის შესაბაბისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.#60ᵃ.)

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

N	რეგიონი	მუნიციპალიტეტი	2023 წელს დაგეგმილი პროექტების დასახელება	კატეგორია	სავარაუდო ღირებულება
1	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტში სოფელ კლდეში არსებული მონოლითური რკინა ბეტონის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები	ხიდი	**299 730**
2	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ქალაქ ახალციხეში ასპინძის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები	გზა	**578 770**
3	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში მაჭარაშვილის ქუჩის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებია	გზა	**1 211 000**
4	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში ვაჟა-ფშაველას №1-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	შენობები	**72 271**
5	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში სტალინის №1-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	შენობები	**125 303**
6	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში სტალინის №3-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	შენობები	**62 579**
7	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში სტალინის №6-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	შენობები	**80 324**
8	*სამცხე-ჯავახეთი*	*ახალციხე*	ახალციხის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვალეში სტალინის №8-ში არსებული საცხოვრებელი კორპუსის ფასადის რეაბილიტაცია	შენობები	**90 351**

საკრებულოს თავმჯდომარე- **დავით ლომიძე**